# ხელშეკრულება№ 02 - 249

სახელმწიფოშესყიდვისშესახებ

(გამარტივებული ელექტრონულიტენდერიSPA120016644)

თბილისი „5“ „ივლისი“ 2012 წ.

**სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტო**, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი თავმჯდომარის მოადგილე ნინო ინწკირველის სახით და **შპს „გრინ პროჯექტი“**, შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, წარმოდგენილი დირექტორის **ვლადიმერ ქვილითაიას** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

## გამოყენებულიტერმინებისგანმარტებები

ხელშეკრულებაშიგამოყენებულტერმინებსაქვთშემდეგიმნიშვნელობა:

1.1. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ “(შემდგომში-„ხელშეკრულება“) -შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზეთანდართულიყველადოკუმენტითდაასევემთელიდოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება “-საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“- პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი“ -ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

## ხელშეკრულების საგანი

საქსელო მოწყობილობების (CPV-32420000) შესყიდვა.

## ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **9276.30 (ცხრა ათას ორას სამოცდათექვსმეტი) ლარს**.

4.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც მისაწოდებელი საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

## მხარეთა ვალდებულებები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების დანართი №1-ით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 (სამოცი) დღის განმავლობაში შემდეგ მისამართზე: თბილისი, წერეთლის გამზ. 67ბ;

ბ) უზრუნველყოს საქონლის მწარმოებლის პროგრამულ განახლებებზე წვდომის უფლება და შემოთავაზებულ აპარატურასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურება ყოველდღიურად 24 საათის განმავლობაში ხელშეკრულების 5.1 პუნქტით გათვალისწინებული საგარანტიო ვადის გასვლამდე;

გ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

## საქონლის საგარანტიო ვადა და პირობები

6.1. საქონელზე გარანტია ვრცელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში.

6.2. მიმწოდებელი ვალდებულია საქონლის დაზიანების შესახებ შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღისა დაადგინოს საქონლის დაზიანების ხარისხი და თუ აღმოჩნდება, რომ დაზიანება არ არის გამოწვეული მექანიკური ზემოქმედების შედეგად 24 საათის განმავლობაში უზრუნველყოს საქონლის კვალიფიციური შეკეთება ან მისი შეცვლა ახალი და არანაკლებ ანალოგიური წარმადობის აპარატურით.

## ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

7.2. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების მე-5 მუხლის პირობების შესაბამისად გამოასწოროს წუნი.

7.3. ხელშეკრულების შესრულების კოკტროლზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამმართველოს უფროსი ზურაბ მაღრაძე, სრს ლოჯისტიკის სამსახურის მთავარი სპეციალისტი მანანა ბასილაშვილი და სრს შესყიდვების სამსახურის მთავარი სპეციალისტი გიორგი მესხი.

## საქონლის მიღება-ჩაბარებისწესი

საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

## ანგარიშსწორება

9.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა-ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა- უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

9.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 30 (ოცდათი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

## ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

## ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0. 2%-ის ოდენობით.

11.2. წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე წუნდებული საქონლის ღირებულების 0.2% ისოდენობით.

11.3. წინამდებარე ხელშეკრულების 8.2 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.2%-ის ოდენობით.

11.4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

11.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

12.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

## დავების გადაწყვეტა

13.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

14.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

## ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## ფორს-მაჟორი

16.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს მაჟორული მდგომარეობით.

16.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

16.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

## სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი - შემსყიდველს.

## მხარეთა რეკვიზიტები:

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
|---|---|
| **სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტო,** | **შპს „გრინ პროჯექტი",** |
| წარმოდგენილი თავმჯდომარის მოადგილის | წარმოდგენილი დირექტორის |
| ნინო ინწკირველის სახით, | **ვლადიმერ ქვილითაიას** სახით, |
| **მისამართი:** თბილისი, წერეთლის გამზ. 67, | **მისამართი:** თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. 2 |
| ტელეფონი: 235 79 88, | ტელეფონი: 255 57 00, |
| **საბანკო რეკვიზიტები:** ანგ. №122031300, | **საბანკო რეკვიზიტები:** ანგ. №GE89BG0000000145366900, |
| სს „საქართველოს ბანკი", კოდი: BAGAGE22, | სს „საქართველოს ბანკი", კოდი: BAGAGE22, |
| სკ - 202307404 | სკ - 205152172 |

| საქონელი | რაოდენობა | ერთეულის ფასი | საერთო ღირებულება |
|---|---|---|---|
| კონტროლერი უკაბელო ქსელთან წვდომის მოწყობილობებისათვის - „Cisco AIR-LAP1141N-A-K9“ | 10 | 927.63 | 9,276.30 |

შემსყიდველი:

სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტო,
წარმოდგენილი თავმჯდომარის მოადგილის
ნინო ინწკირველის სახით

მიმწოდებელი:

შპს „გრინ პროჯექტი“,
წარმოდგენილი დირექტორის
ვლადიმერ ქვილითაიას სახით